აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №16
2016 წლის 15 ივლისი

აბაშა

აბაშის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის და აბაშის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების რუკის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა.ა“ ქვეპუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეიქმნას აბაშის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები და განისაზღვროს მათი სამოქმედო ტერიტორია (დანართი №1).

მუხლი 2

დამტკიცდეს აბაშის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების რუკა (დანართი №2).

მუხლი 3

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,აბაშის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 აგვისტოს №27 დადგენილება.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ქურდოვანიძე**

აბაშის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები

აბაშის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებია:

1. ქ.აბაშის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – ქალაქი, ნოღოხაში, კაპანა, კვათანა)

2. ნორიოს ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: მაცხოვრისკარი, ნორიო, საგვაზაო, აბაშისპირი, ძიგური, საბოკუჩაო)

3. სუჯუნის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: სუჯუნა, ეწერი, წალიკარი)

4. მარნის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: მარანი, მარანჭალა)

5. პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: პირველი მაისი, თხმელარი, გაუწყინარი, ქვიშანჭალა)

6. ქოლობანის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ქოლობანი, ბულვანი, გუგუნაყათი)

7. ტყვირის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ტყვირი, ცილორი)

8. ნაესაკოვოს ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ნაესაკოვო, გამოღმა

კოდორი)

9. კეთილარის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: კეთილარი, გულეიკარი, გაღმა კოდორი)

10. ზანათის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: გაღმა ზანათი, გამოღმა ზანათი)

11. სამიქაოს ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: სამიქაო, მაიდანი)

12. გეზათის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: გეზათი, გულუხეთი)

13. ძველი აბაშის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი ძველი აბაშა)

14. წყემის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი წყემი)

15. ონტოფოს ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი ონტოფო)

16. სეფიეთის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი სეფიეთი)